რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მეშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბრძოლა

კვირა, 17 დეკემბერი 1917 წ.

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—redakciis სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

№ 58 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 58

ფასი 10 კ.

შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

— დამყარდა დროებითი ზავი —

გალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურად.

გაზეთის ფასი: ერთი წლით ღირს 24 მ.
ნახევარი წლით „ 12 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემენარიის ეზოში. შესავალი ლორის მეღლეოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოყის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალლონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

თვით-გამორკვევა და იმპერიალიზმი.

ერის თვითგამორკვევა—აი ის საერთო ნიადაგი, რომელმაც შეაგროვა მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები. წაიშალა მათ შორის ოყველივე განსხვავება, მოისპო ყოველივე უთანხმოება, გუშინდელი მტრები დამეგობრდენ და შეადგინეს საერთო ლაშქარი საერთო პროგრამით.

სად არის მტერი, ვის წინააღმდეგ ერაზმება „ს ხელოვანი" ჯარი? ვის უც ხადებს ის ომ და ვის ეშსახურება?

ეს მტერი არ არის ბურჟუაზია და არც შემამულეთა კლასი. ეს მტერია მხოლოთ ბალშევიკები. საერთო ნიადაგზე გაერთიანებული ქართული პარტიები აერთიანებენ ბურჟუაზიას და მემამულეებს, სამღვდელოებას და ინტელიგენციას, გლეხებს და მუშებს. ეს არის მთელი ერი, ისინი იცავენ ამ ერის ინტერესებს პარტიათა სამლრთო კავშირის შემწეობით. ბალშევიკები არ შედიან ამ სამღვთო კავშირში,—მისი შემადგენელი პარტიები ომს უცხადებენ ბალშევიკებს.

ისინი ადგენენ ქართულ ჯარს და ამის შესახებ მოწოდებაში ისინი ნათლათ აღნიშნავენ, რომ ამას აიძულებს მათ ბალშევიკების საფრთხე, — სხვა მტერი მათ არ მოეპოვებათ.

აშკარაა, იწყება ბრძოლა და ყველა ვალდებულია ამას ანგარიში გაუწიოს.

ვინ არიან ჩვენს წინააღმდეგ დარაზმული მოკავშირენი?

თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი ნაციონალ-დემოკრატები; უნიადაგო ინტელიგენციის და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი ფედერალისტები და მათი მონათესავე ესერები; მუშების და გლეხების ხელმძღვანელი მენშევიკები.

რამ შეაერთა ეს ჭრელი ხალხი? სად მუშები და სად ბურჟუაზია, სად გლეხები და სად მემამულეები? როგორ ხერხდება მათი ერთ ტაფაში მოთავსება, მგლის და ცხვარის ერთათ ძოვება? სად არის ის თილისმა, რომელიც სპობს მათ გამთიშელ ძალებს და თავს უყრის მათ ერთ მთლიან სხეულში?

ეს თილისმაა ნაციის თვითგამორკვევა, ერის კეთილდღეობა —გვიპასუხებენ დაკავშირებული მოწინააღმდეგენი. ამან შეაერთა მოწინააღმდეგე კლასები. შექმნა მათ სამოქმედოთ საერთო ნიადაგი.

იბადება კითხვა: რომელმა მოკავშირე კლასმა უარყო ამ შეერთების გულისთვის თავისი ინტერესები და რომელმა მათგანმა შეინარჩუნა თავისი პოზიცია და მას ყველა სხვა მოკავშირენი დაუმორჩილა? ერის თვითგამორკვევა ერთნაირათ ძვირფასია ყველა კლასებისათვის, ის აკავშირებს მათ და ამ კავშირის შესაქმნელათ სრულიათ საჭირო არ არის უარყოფა თავისი განსაკუთრებული კლასობრივი ინტერესებისა. ასე გვიპასუხებენ წამოყენებულ კითხვაზე ახლათ შეუღლებული პარტიები და პირველ ყოვლისა მენშევიკები, რომლებიც ამით უდიდეს სიყალბეს სჩადიან.

ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ინტერესები შეურიგებელია და ამ შეურიგებლობას ვერ სპობს და ვერც კი ანელებს ეროვნული თვითგამორკვევის კითხვა. პირიქით ამ კითხვაშიაც აშკარათ სჩანს ამ ორი მოწინააღმდეგე კლასის სრული შეურიგებლობა. თუ პროლეტარიატს თვითგამორკვევა უნდა ნაციონალური დევნა შევიწროების მოსპობისთვის, ბურჟუაზიას იგი უნდა გაბატონებული ერის ბურჟუაზიის თავიდან მოსაშორებლათ, რომ ამით სავსებით დაისაკუთროს შინაური ბაზარი და თავისი ერის მშრომელი ხალხი უმეტოქეოთ კრიჭოს და ყელიფოს. პროლეტარიატს არ გააჩნია სამშობლო, რადგან ის ყველგან ჩაგრული და გაყვლეფილია, ბურჟუაზიას იმდენათ უყვარს თავის სამშობლო, რამდენათ მას შეძლებია-აქვს მონოპოლიურათ ყვლიფოს მის საზღვრებში მშრომელი ხალხი.

პროლეტარიატი თავგამოდებული დამცველია ერთა თვითგამორკვევისა, რადგან ის ამით სასიკეთილო ლხვარს სცემს გაბატონებულ ერის ბურჟუაზიის იმპერიალიზმს, მისი დაპყრობის პოლიტიკას, მის ქვეყნათ გაბატონების სურვილს. თვითგამორკვევის უფლების აღიარება ამავე დროს სასტიკი ბრძოლა იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მაგრამ დაჩაგრული ერი, რომელიც თვით გამორკვევას აღწევს; სულაც არ არის დაზღვეული იმპერიალიზმიდან. პირიქით, თვით-გამორკეეულ ერში განთავისუფლებული ბურჟუაზია ყოველ ღონეს იღებს თავისი ბატონობის განსამტკიცებლათ და რადგანაც ამისი საუკეთესო იარაღი იმპერიალიზმია, განთავისუფლების მეორე დღესვე მასში თავს იჩენს იმპერიალისტური ტენდენციები. ყველა ერთი ვარი გარეშე მტრის წინააღმდეგ—აი ბურჟუაზიის ლოზუნგი: უნდა დავიცვათ სამშობლო, ამისთვის საჭიროა ჯარი, თოფ-იარაღი, ზარბაზნები—უნდა შევქმნათ ყოველივე ეს. და იწყება გაბურჟუაზული მუშამბა ახალი ბორკილების შესაქმნელათ, რის წყლობითაც ხელფეხ შეკრული მშრომელი ხალხი ხელფეხ უვარდება განთავისუფლებულ და თვით-გამორკვეულ ბურჟუაზიას.

უეჭველია, ყოველივე ეს თვით-გამორკვევაა, მაგრამ თვით გამორკვევა ბურჟუაზიული. გაბატონებული ერის ბურჟუაზიის იმპერიალიზმის ნაცვლათ ანარქიზზე გამოდის ახალი იმპერიალიზმი მისი შეიარაღებით, დატაცება-დაპყრობის და მშრომელ ხალხის გაყვლეფის უზომო სურვილით.

პროლეტარიატს თვით-გამორკვევის მეორე დღესვე წინ უდგება შეუბრალებელი ბრძოლა საკუთარი ბურჟუაზიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც უნდა გათავდეს ბურჟუაზიის სრული დამარცხებით და შრომის სამეფოს დამკვიდრებით.

თვით-გამორკვევა ბრძოლაა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ბურჟუაზიისთვის ის ნიშნავს ბრძოლას მხოლოთ სხვისი იმპერიალიზმის წინააღმდეგ საკუთარი იმპერიალიზმის განსამტკიცებლათ. პროლეტარიატისთვის ის ნიშნავს ბრძოლას საერთოთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ბრძოლდება იმავე მეტოდით და შეუბრალებლობით საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ საკითხშიაც ამ ორი კლასის ინტერესთა წინააღმდეგობა თვალსაჩინოა; ინტერესთა სოლიდარობა მოჩვენებულია, ყალბია, გამოგონილია მშრომელი ხალხის თვალის ასაბმელათ.

მიგუყენოთ ეს დებულებები ქართულ ცხოვრების სინამდვილეს.

შეერთებული პარტიების კავშირი ქართულ ეროვნულ საბჭოს სახით მართავს ქართველი ხალხის საქმეებს. ეს თვით-გამორკვევაა. (არ შედიან იმის განხილვაში, აქვს თუ არა საბჭოს ეს უფლება თვით ხალხიდან მინიჭებული). ის ებრძვის რუსეთის რევოლიუციას, ადგენს ქართულ ჯარებს, აერთიანებს თავის დროზის ქვეშ ყველა გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებს. რას ზარალობენ აქედან ნაციონალ-დემოკრატები და ფედერალისტები? სრულიათ არაფერს. პირიქით, ამით ბოლოიღლება მათი დიდი ხნის

ნატერა-სურვილი, მათი პროგრამა. მათ უკავშირდებიან მათი გუშინდელი მტრები—მენშევიკები. რას უთმობენ მენშევიკები თავის ახალ მოკავშირეებს? ყველაფერს. მთელი თავისი გავლენა მშრომელ ხალხზე ერთ დღეს ძღვნათ მიართვეს ნაციონალისტებს და მით მთელ თავის წარსულ მოღვაწეობას ჯვარი დაუსვეს.

თვით გამორკვევა საბედისწერო გამოდგა მენშევიკებისთვის. ისინი გაბატონებულ კლასებს დაუდგენ სათავეში და მათ სამსახურში მიათრევენ მათი გავლენის ქვეშ მყოფ მშრომელ ხალხს. რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალიზმი დამარცხდა, ქათული ბურჟუაზიის იმპერიალიზმი ახლა ღორძინდება. მენშევიკების სიმპატია, მთელი მათი ძალა და გავლენა მის მხარეს არის. ეს იმპერიალიზმი ბრძოლას გვიცხადებს ჩვენ, ბალშევიკებს, რომლებიც ერთგულათ შევრჩით ძველ პროგრამას, და მიზნათ ვისახავთ მხოლოთ მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას. ეს სრულიათ ბუნებრივია. ჩვენი თვით-გამორკვევა აია გავს მენშევიკ—ნაციონალისტებისას. ჩვენ უარვყოფთ საერთო ნიადაგს ხალხის მტრებთან, ვაყალიბებთ მშრომელ ხალხს ცალკე კლასათ და ვამხედრებთ მას ყოველგვარი ბატონობის წინააღმდეგ. ჩვენი მტრები ერკვევიან იმპერიალისტურათ და კონტრრევოლუციონურათ, ჩვენ ვერკვევით რევოლიუციონურათ და სოციალისტურათ. ამ ორი ძალის შეტაკება აუცილებელია და ჩვენ შეგნებულათ ვადგავართ ამ გზას.

ქართველი მენშევიკების ნამდვილი სულისკვეთება.

ქართველი მენშევიკები ჩვენ, ბალშევიკებს, გვაბრალებენ მარქსიზმის და სოციალიზმის ღალატს, ისინი ჩვენ გვიწოდებენ ანარქო-სინდიკალისტებს და ბლანკისტებს. ამასაც არ გვაჯერებენ, ჩვენ გვიწოდებენ პაგრომჩიკებს და ვინ იცის კიდევ რას. დამტკიცებისათვის თავს არ იწუხებენ: რაში გამოიხატა ჩვენი ღალატი მარქსიზმის და სოციალიზმის მიმართ? დღე დასახელონ ფაქტები და სიტყვებს თავი დაანებონ-მაგრამ ამას ისინი ვერ იზამენ, ვინაიდან ფაქტები სულ სხვას ღაღადებენ. მენშევიკები იქცევიან ერთი ანდაზის თანახმათ: გალმა შეედავე, რომ გამოლმა შეგრჩესო.

ქართველი მენშევიკები ეგრეთ წოდებულ ქართულ ეროვნულ საბჭოში, რომელიც ქართველი ხალხის დიუკითხავათ შეხანხლეს, მუდმივ შეუკავშირდნენ წმინდა ნაციონალისტურ პარტიებს, ქართველ ბურჟუა-კაპიტალისტებს და მემამულეებს. ამით მათ უღალატეს როგორც მარქსიზმს, ისე ინტერნაციონალურ სოციალიზმს. მათ უარყვეს კლასობრივი თვალთახედვის წერტილი; იმათ სავსებით იცნეს ის, რასაც ერთ დროს სოც.-ფედერალისტი არ. ჯორჯაძე ამბობდა და ქადაგებდა და რასაც მაშინ ჩვენი დღევანდელი სოციალ-პატრიოტები ქართველი მენშევიკები უარყოფდნენ. ქართველი მუშა, ქართველი გლეხი, ქართველი თავად-აზნაური და ქართველი ვაჭარ-მრეწველი—ყველა ესენი უნდა შეერთდენ, შეკავშირდნენ და სხვა მეზობელ ერებს უნდა დაუპირდაპირდენ, როგორც ერთი გაერთიანებული ერი. მაშინ ნოე ჯორდანია ასეთ შეხედულებას თავგამოდებით ებრძოდა. დღეს კი იგი შეუდარებელი გულმოდგინებით სწორეთ არ ჯორჯაძის იდეალს ახორციელებს ცხოვრებაში. ან ეძიებება არ. ჯორჯაძე ნამდვილი მარქსისტი და ინტერნაციონალური სოციალიზმის მოციქული იყო და ყველა მაშინდელი სოც.-დემოკრატები ცდიმოდენ და მარქმიზმს ამბინჯებდენ?

მაგრამ ამ გზაზე ნ. ჟორდანია წავიდა კიდევ უფრო შორს. თავისი მოხსენება „ეროვნულ ყრილობაზე" მან შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ჩვენი თვითგამორკვევა დღესაც ისეთია, როგორიც იყო ამ ასი წლის წინათ. ამ მხრით ჩვენ ვერ წავედით შორს ჩვენ წინაპრებთან შედარებით. დღესაც იმასვე ეფიქრობთ, იმასვე მოვითხოვთ: უნდა დავრჩეთ რუსეთის სარჩოში და მოგვეცეს შინაური თვითმართველობაო." *)

ვის „თვითგამორკვევაზე" ლაპარაკობს აქ ავტორი? მთელი ხალხის, ერის, თუ სხვა წოდებების და კლასების? მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ქართველი ხალხი დაქუცმაცებული პატარ-პატარა მაზრებში და პროვინციებში, მას ყავდა შინაური და გარეული ბატონ-პატრონები მეფეების და თავად-აზნაურობის სახით, თვით ხალხი, გლეხ-კაცობა, სრულ მონობაში იმყოფებოდა. და თუ ამ ხალხის თვით-გამორკვევაზეა ლაპარაკი, აშკარაა, რომ ეს „თვითგამორკვევა" ამ მონობის შეხუსტება უნდა ყოფილიყო, თუ სრულიად მოსპობა არა, აქ არავითარ თვითგამორკვევაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მაგრამ ნ. ჟორდანიას აქ მხედველობაში ყავს არა მაშინდელი ქართველი ხალხი, არამედ მაშინდელი მეფეები და თავადების ერთი ნაწილი, მართლაც, თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფათ ქართველ ხალხზე ისინი ერთად ერთ საშუალებას რუსეთის მეფეებთან ხელშეკრულებაში ხედავდენ, ერთი სიტყვით საქართველო უნდა ყოფილიყო რუსეთის მეფეების ხელში. სამეფო კი აქ ძველ ბურთან ბატონ-პატრონები ისევ ქართველი მეფეები და თავადები უნდა ყოფილიყვენ. ესეც, რა თქმა უნდა „თვითგამორკვევა", მაგრამ ეს თვითგამორკვევა დემეტრალურათ ეწინააღმდეგებოდა ხალხის თვითგამორკვევას.

ამ ნიერათ ნ. ჟორდანიამ მაშინდელი ქართველი ხალხის, ე. ი. გლეხ-კაცობის თვითგამორკვევა სავსებით გაუყალბა, ის მან შესცვალა ქართველ მემამულეების, თავადების თვითგამორკვევაზე. როგორ ემკვეა იგი დღეანდელ ქართველ ხალხს?

ნ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ „ამ მხრით ჩვენ ვერ წავედით შორს ჩვენ წინაპრებთან შედარებითო".

ვისზე ლაპარაკობს აქ ავტორი? ვინ ყავს მას ხედველობაში? განვლილ ასოცი წლის განმავლობაში ძირეულათ შეიცვალა ქართველი ხალხის, ეკონომიური და სოციალური ცხოვრება: ამასთან ერთათ უნდა შეცვლილიყო, რა თქმა უნდა, მისი იდეალებიც. ე. ი. მისი თვითგამორკვევა. ნ. ჟორდანია კი გაიძახის, რომ ამ მხრით ჩვენ შორს არ წავსულვართ, ჩვენ ისევე ეფიქრობთ, როგორც ჩვენი წინაპრები ფიქრობდენ ამ ასი წლის წინათ. მით უარესი ჩვენი ავტორისთვის. ეს ამტკიცებს მხოლოდ იმაზე, რომ იგი დაბრუნებულა საშუალო საუკუნეობისაკენ.—ჩვენ, ე. ი. ქართველი ხალხი, დღესაც იმასვე ეფიქრობთ, იმასვე მოვითხოვთ, რასაც ჩვენი წინაპრებიო, ე. ი. იგულისხმება ქართველი მეფეები და თავადები. ეს ეს გიპასუხებდა ჩვენ, ე. ი. ისინი, ვინც ვდგეგართ მარქსიზმის ნიადაგზე, ვისაც გვყავს და ემსახურებიან ინტერნაციონალურ სოციალიზმს. ქართველი ხალხი, ე. ი. ქართველი მუშები და გლეხები, დღეს ისე აღარ ფიქრობს, როგორც ქართველი მეფეები და თავადები ფიქრობდენ ასი წლის წინათ: ქართველი ხალხი, ე. ი. ქართველი მუშები და გლეხები დღეს იმას აღარ თხოულობენ, რასაც წინეთ თხოულობდენ ქართველი მეფეები და თავადები ან რასაც თხოულობენ დღეანდელი მათი პირდაპირი მემკვიდრეები ე. ი. მემამულეები და კაპიტალისტები ქართველი მუშები და გლეხები მთელი რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ერთათ დღეს სამკვდრო სასიცოცხლოთ ებრძვიან კაპიტალისტებს და მემამულეებს სულ ერთია ქართველებია ეს უკანასკნელები, რუსები, სომხები, თუ თათრები. ქართველი მუშა და გლეხი თხოულობს დღეს საერთაშორისო კავშირს ყველა მუშების და გლეხების არა მარტო რუსეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელ მსოფლიოში. ამას არაფერი საერთო არ აქვს იმასთან, რასაც ფიქრობდენ და რასაც თხოულობდენ ქართველი ხალხის პატრონ-ბატონები და მყლეფელები ამ ასი წლის წინეთ.

Ფ. Შ.

(დასასრული იქნება).

იმპერიალიზმი, როგორც ახალი საფეხური კაპიტალიზმისა.

(გადმოღ. ლენინის წიგნიდან).

3. ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲮᲘᲐ.

ჰილფერდინგი ასე ახასიათებს ფინანსიურ კაპიტალს: „სამრეწველო კაპიტალის სულ დიდი ნაწილი არ ეკუთვნის იმ მრეწველებს, რომლებიც მას სამეფაში ბანდებენ. თავის განკარგულებაში კაპიტალს ისინი იღებენ ბანკის საშუალებით, რომელიც ამ კაპიტალის მესაკუთრეა. მეორე მხრით, ბანკებიც თავის კაპიტალების სულ დიდ ნაწილს მრეწველობაში აბანდებენ. ამის გამო ბანკი სულ უფრო და უფრო სამრეწველო კაპიტალისტათ ხდება. ასეთ საბანკო კაპიტალს, მაშასადამე ფულის კაპიტალს რომელიც სინამდვილეში ასეთი წესით გადაქცეულა სამრეწველო კაპიტალათ, მე ეწოდებ ფინანსიურ კაპიტალს." „ფინანსიური კაპიტალი ეს ის კაპიტალია, რომელიც ბანკების განკარგულებაში იმყოფება და მრეწველობაშია დაბანდებული".

აქ არ არის აღნიშნული წარმოების და კაპიტალის კონცენტრაციის ისეთი სწრაფი ზრდა, როდესაც ამ კონცენტრაციის შედეგათ წარმოიშვის და უკვე წარმოიშვა მონოპოლია.

ფინანსიური კაპიტალის წარმოშობის ისტორია და მისი შინაარსი რომ სწორეთ აღნიშნოთ, უეჭველათ უნდა მოვახსენიოთ: წარმოების კონცენტრაცია; მისგან წარმოშობილი მონოპოლიები; შეერთება და შეხორცება ბანკებისა მრეწველობასთან.

საქონლის წარმოების და კერძო საკუთრების საერთო პირობებში კაპიტალისტური მონოპოლიების ფარფაში აუცილებლათ წარმოადგენს ფინანსიური ოლიგარხიის ბატონობას.

როგორ ჩნდება ეს ოლიგარხია, რა ზომებს მიმართავს ის თავის მოქმედებაში, რამდენია მისი „ცოდველი" და „უცოდველი" შემოსავლის როდენობა, რა კავშირი აქვს მას გაბმული პარლამენტებში,—ყველა ამის შესახებ ბურჟუაზიული მწერლები ზოგადი ფრაზებით ცდილობენ ფოსს გავიდენ და სინამდვილე კი მიაფუჩეჩონ.

ავიღოთ „ნონაწილეობის" სისტემა, რომელიც ასე გავრცელებულია ფინანსიურ წრეებში. აი როგორ აგვიწერს მას ეკონომისტი გეიმანი:

„ხელმძღვანელი კანტროლს უკეთებს ძირითად საზოგადოებას (სიტყვა-სიტყვათ რომ ვთქვათ „დედა-საზოგადოებას)"; ის თავის მხრით ბატონობს მისგან დამოკიდებულ საზოგადოებებზე („საზოგადოება-შვილებზე"), ეს უკანასკნელი „საზოგადოება-შვილებზე" და სხ. ამნაირათ, შეიძლება არა გქონდეს ძალიან დიდი კაპიტალი და ამავე დროს იბატონო წარმოების უზარმაზარ დარგებზე, მართლაც რომ აქციონერულ საზოგადოებას კანტროლი გუუკეთო, ამისთვის საჭირო: მესაკუთრე იყო კაპიტალის 50 პროც., ხელმძღვანელისთვის კი ერთი მილიონის ქონვაც საკმარისია, რომ კანტროლი გაუწიოს „საზოგადოება-შვილი-შვილებს" 8 მილიონის კაპიტალს. თუ ეს „მიხორცება" ქვეყვანაც გრძელდება, მაშინ ერთი მილიონი საკმარისია, რომ კანტროლი გაუკეთო 16 მილიონს, 32 მილიონს და სხ."

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ 50 პროც. კი არა, აქციების 40 პროც. ქონვაც საკმარისია, რომ მთელი აქციონერული საზოგადოების საქმეებს განაგებდე,—ეს იმიტომ, რომ წვრილ აქციონერებს შეძლება არა აქვთ საზოგადო კრებებზე მონაწილეობა მიიღონ. აქციების „დემოკრატიზაცია", მათი მცირე ფასების დანიშვნა სულაც არ მოასწავებს წვრილი წარმოების მნიშვნელობის გაზრდას,—ეს მხოლოთ იმავე ფინანსიური ოლიგარხიის ძალიერების მატებს, იმიტომ უფრო მოწინავე ან უფრო ძველ და „გამოცდილ" ქვეყნებში კანონი ნებას აძლევს უფრო წვრილი აქციების გამოცემისას, გერმანიაში კანონი ნებას არ რთავს, რომ აქცია 1,000 მარკაზე ნაკლები ღირებულების გამოიცეს და გერმანიის ფინანსიური ტუზები შორით უყურებენ ინგლისს, სადაც ნებადართულია 1 ბირვანქა სტერლინგიანი აქციის გამოცემაც. სიმენსმა, რომელიც ერთი უდიდესი მრეწველობის და ფინანსიურ მეფეთაგანია, განაცხადა გერმანიის რეიხსტაგში 7 ივნისს 1900 წ., რომ ერთ ბირვანქა სტერლინგიანი (10 მანეთამდე) აქცია ბრიტანეთის იმპერიალიზმის საფუძველიაო. ამ აქციების პატრონები მხოლოთ ფულს იხდიან, რომელიც შეერთებულათ ძალიან დიდ თანხას შეადგენს, მარა ამ თანხის განკარგულება, მისი მოხმარა—დაბანდება, კანტროლი და სხ. მთელთ სხვილი ტუზების ხელშია, რომლებიც, როგორც ნებავთ, ისე აკოპავებენ ამ წვრილფეხობიდან შეგროვილ კაპიტალებს.

„მონაწილეობის სისტემა" საშინლათ აძლიერებს მონოპოლისტების ძალა-გავლენას, გარდა ამისა, ის შეძლებას აძლევს მათ დაუსჯელათ მოაპახროკონ ყოველგვარი ბნელი და ეუფყანილი საქმეები და პირდაპირ გაატყავონ გულუბრყვილო პუბლიკა; ხელმძღვანელები ხომ კანონის ძალით პასუხს არ აგებენ „საზოგადოება—შვილის" მოქმედებაში, რომელიც დამოუკიდებლათ ითვლება, და რომლის შემწეობითაც ყოველ გვარი საქმის მოწყობა შეიძლება.

აი ერთი მაგალითი ასეთი უბადლო საქმიანობისა. ფოლადის მავთულის აქციონერული საზოგადოება კასსელში რამდენიმე წლის წინათ ყველაზე შემოსავლიან დაწესებულებათ ითვლებოდა გერმანიაში. ცუდმა მართველობამ იქამდი მიიყვანა საქმე, რომ დივიდენდები

*) გაზ. „ერთობა" № 202. ხაზს ჩვენ ვსვამთ.

15 პროც. ნოლამდი დაეცა. თურმე გამგეობას აქციონერების დაუკითხავთ მი უცია სესხი ერთ ოავის „საზოგადოებაშვეილისთვის“, რომლის ნომინალური კაპიტალი რამდენიმე ასი ათას მარკას არ აღემატებოდა; მიცემული სესხი კი 6 მილიონ მარკას უდრიდა. ამდენი ფულის ასეთი წესით გასესხება მისი წყალში გადაყრა იყო. მაგრამ ფართო პუბლიკამ ამის შესახებ არაფერი არ იცოდა და იმედიანათ უყურებდა საქმეს. ვინც ახლო იდგა საქმესთან, მათ თავიდან მოიშორეს თავისი აქციები, გაყიდეს ისინი და ამნაირათ თავისი თანხა უზრუნველ ყვეს. ამის შემდეგ აქციებს სრულიათ დაეკარგა ფასი, მათი მყიდველი ალარავინ იყო. აქციონერებმა ვერ შეიტყვეს დროზე საქმის ნამდვილი ვითარება იმიტომ, რომ საზოგადოების ბალანსებში გაეცემული სესხის შესახებ კრინტიც არ იყო დაძრული. მეთვალყურე საბჭოს წევრი, რომელიც როგორც პასუხისმგებელი პირი ხელს აწერდა ყალბ ბალანსებს, ციხეში კი არ ჩაუსვამთ, არამედ კასსელის სავაჭრო პალატის თავმჯდომარეთ იყო და დღესაც არის და ეს იმიტომ, რომ ფორმალურათ მას კანონი არ დაურღვევია,—კანონი არა სჯის ასეთი მომედებისთვის. აქციონერთთა ფართო წრემ მხოლოთ ორი წლის შემდეგ გაიგო, რომ ეს ბალანსები ყალბი იყო, მაგრამ ამით საქმე არ გამოსწორდებოდა.

ეს ტიპიური მაგალითი ბალანსების შეხანხლისა ზოგადი მოვლენაა ყველა აქციონერულ საზოგადოებაში. აქედან ადვილი გასაგებია, აქციონერულ საზოგადოებათა გამგეობები რათ კიდებენ ადვილათ ხელს სახიფათო საქმეებს, ვიდრე ამას სჩადიან კერძო ვაჭარ-მრეწველნი. ბალანსების შედგენის ახალი ტექნიკა მათ საშუალებას აძლევს დაუმალონ საშუალო აქციონერს სახიფათო საქმეები, დაინტერესებული პირები თავიდან იშორებენ პასუხისმგებლობას აქციების დროოანათ გაყიდვით, თუ საქმე სახიფათო გამოდგა, მაშინ როდესაც კერძო ვაჭარ-მრეწველი საკუთარი ტყავით აგებს პასუხს თავის ნამოქმედარზე.

ფინანსიური კაპიტალი, რომელიც თავმოყრილია რამდენიმე კაცის ხელში და ფაქტიურათ სარგებლობს მონოპოლიით, იღებს უზარმაზარ და სულ უფრო გადიდებულ მოგებას აქციონერულ საზოგადოების დაარსების დროს, ფონდის ქაღალდების გამოშვებით, სახელმწიფო სესხებიდან და სხ., ამგვარებს მით ფინანსიური ოლიგარხიის ბატონობას და მონოპოლისტების სასარგებლოთ მთელ საზოგადოებას ხარკს ახდევინებს. 50 კაცი, რომელთაც 8 მილიონი ფრანკი მოეპოვება, განაგებენ ორ მილიარდ ფრანკს, რომელიც ოთხი ბანკის ქონებას შეადგენს.

რაკი მონოპოლია დამყარდა და მილიარდებს ატრიალებს, ის ბუნებრივი აუცილებლობით სწევდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეებს, მიუხედავთ იმისა, თუ როგორია პოლიტიკური ცხოვრება ამა თუ იმ ქვეყნისა და სხვა კერძო პირობები. ამ მხრით გერმანელი, ფრანგი და ინგლისელი სრულიათ არ განირჩევიან ერთმანეთისგან. იგივე სიყალბე, სახიფათო საქმეების გამოკიდება, ფართო პუბლიკის გატყუება, სინდისზე ხელ-აღებული მახინაციები. ყველა მაისწრაფვის მონოპოლისტურ დაწესებულებებში თბილ ადგილზე მოიკალათოს და იქიდან მთელი სამეურნეო ცხოვრება თავის ნებაზე ატრიალოს.

რუსეთის ცხოვრებიდან მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ამ რამდენიმე წლის წინათ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ საკრედიტო კანცელიარიის სახელმწიფო სამსახურს და ერთ დიდ ლიწადში მილიონზე მეტ ჯამაგირს ფულებსო. საკრედიტო კანცელიარია ეს ნებს მთელი სახელმწიფოს ყველა საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედებას და სატახტო ქალაქის ბანკებს სუბსიდიას აძლევს 800—1000 მილიონ მანეთამდე. აშკარაა, დავიდ-ოვმა კი შემოსავლიანი ადგილი იშოვა, ხოლო ბანკმა —დაუფასებელი მოსამსახურე.

კაპიტალიზმს საერთოთ სჩვევია, რომ კაპიტალის მესაკუთრე სხვა არის და მისი წარმოებაში დამბანდებელი—სხვა; ხშირათ ხდება, რომ ფულის კაპიტალი გამოყოფილია სამრეწველო და მწარმოებელ კაპიტალიდან; რანტიე, რომელიც ფულის კაპიტალის შემოსავლით ცხოვრობს, გამოყოფილია საწარმოვო საქმის მეთაურიდან და ყველა იმ პირებიდან, რომელთა განკარგულებაშია კაპიტალი. იმპერიალიზმი ან ფინანსიური კაპიტალის ბატონობა, ეს ის უმაღლესი საფეხური კაპიტალიზმისა, როცა ეს გამოყოფა უდიდეს საზღვრებს აღწევს. ფინანსიური კაპიტალი სჭარბობს კაპიტალის ყველა სხვა ფორმებს და ეს მოსწავებს რანტიეს და ფინანსიური ოლიგარხიის ბატონობას, მოასწავებს ყველა სახელმწიფოებიდან იმ ზოგიერთების გამოყოფას, რომელთაც ფინანსიური ძალა შესწევთ.

ამ სახელმწიფოებიდან ორი ყველაზე ძველი კაპიტალისტური ქვეყანაა და ესენი ყველაზე მდიდარი არიან კალონიებით; ეს სახელმწიფოებია ინგლისი და საფრანგეთი. ორი სხვა სახელმწიფო თავისი განვითარების სისწრაფით და კაპიტალისტური მონოპოლიების გავრცელების მხრით ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებია. ესენი არიან შეერთებული შტატები და გერმანია. ოთხივეს ერთათ მოეპოვებათ 479 მილიარდი ფრანკი, ე. ი. 80 პროც. მთელი ქვეყნის ფინანსიური კაპიტალისა. მთელი დანარჩენი ქვეყანა ამ მსოფლიო ბანკირთა ქვეყნების მოვალეა, ის ხარჯს აძლევს მსოფლიო ფინანსიური კაპიტალის ამ ოთხ ბურჯს.

საპირისა განვიხილოთ, რა როლს თამაშობს მსოფლიო დამოკიდებულებათა ქსელის შექმნაში კაპიტალის გატანა.

რევოლიუციის მოდახლატენი.

აღსრულდა, მოხდა ის, რასაც ჩვენ დიდი ხანი ველოდით: ობორონცების ბელადები რევოლიუციის დაწყებიდან ბურუჟაზიას ეღლავიანებოდნენ, მისი ლაქიობას ეწევოდნენ, და ამავე დროს წარამარა გაკვიდნენ, რომ მსხვილ ბურჟუაზიის ჩამოშორებით. მეშათა კლასს წვრილ ბურჟუაზიაც, ჩამოგაცილდებაო. მათი წინასწარმეტყველობა უკვე აღსრულდა: მენშევიკ-ესერების წვრილი ბურჟუაზიული პირტები ფაქტიურათ გამოეთხოვნენ მშრომელ მასას, გოც-წერეთელ-პოტრესოვ ოიბერდანების მეთაურობით ბოიკოტით შეხვდნენ ოქტომბრის უდიდეს რევოლიუციას, პოლიტიკურ ხელი დაიბანეს, მეშათა, სალდათთა და გლეხთა რევოლიუციონურ საბჭოებს და მათი მმართველობის მოღალატე კორნილოვ-კალედინ-კერენსკეტებთან ერთად სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. რუსეთის პროლეტარიატს და მისი მოკავშირე ღარიბ-დატკ ბლეხკაცობას მუხანათურად ულალატეს. იგინი განმარტოებული დატოვეს ბრძოლველზე. რასაკვირველია არც ჩვენი „ინტერნაციონალისტები“ ჩამორჩებოდნენ რუსეთელ ამხანაგებს რევოლიუციის ღალატში, მათ უკვე საჯაროთ ნიღაბი ჩამოიხადეს, მიბაძეს ცნობილ კონტრ-რევოლიუციონერებს დონის ყაზახებს ატამან კალედინს და ჩხენკელ-დონსკოიგენერალ-კერის მეთაურობით უტიფრათ წარბშეუხრელათ ბლოკი შეკრეს ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტ - შოვინისტურ პარტიებთან და შეხანხლეს თავისებური უნიადაგო კონტრ-რევოლიუციონური სამინისტრო, რომელშიაც შედიან ოთხი მონათესავე პარტიების წარმომადგენელნი. სახუმრო არ გეგონოთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მენშევიკ-დაშნაკცაკან-ესერ-კადეტებისაგან შემდგარი კომისარიატი. დემოკრატიის დაუკითხავად მის ზურგს უკან კულისებში მუხანათურათ შეხანხლული კოალიციონური მთავრობა, რომელსაც მეშერო კავშირი ეწერება დონის ოლქის მთავრობასთან, კალედინებთან და მათი ძმა ამხანაგებთან.

ხალხი ერთბაშათ გააბედნიერეს. რუბიკონი გადალახულია, გორდიას კვანძი გახსნილია. გიხაროდენ კავკასიის ერნო! თქვენ უკვე იყავთ ღვთის მიერ მოვლენებულ კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა: ამიერიდან ზავი, მიწა და ერთა თვითკამორკვევის უფლება თქვენთვის უზრუნველყოფილია.

კავკასიისთანა ბედნიერი განა არის სადმე მხარე?

ყველაფერი შეიძლება თურმე ამ ცოდვილ დედამიწაზედ. წარმოიდგინეთ თქვენითა, რომ ის ობორონცული პარტია, რომელიც მთელ რვა თვის გამავლობაში, იეზუიტურ ტაქტიკას აწარმოებდა ორ იკამზე იჯდა, რაკვის განიცდიდა და შუამავლის როლში გამოდიოდა, რომელიც ადასტურებდა 18 ივნისის ავანტიურას, ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობდა ომის გაგრძელების ფრონტზე სკვდილოთ დასჯის, ამ სამარცხვინო ინსტიტუტის აღდგენაზე ხელს აწერდა; ის პარტია, რომლის მეთაურებით და ლოცვა კურთხევით მოწვეულ იქმნა მოსკოვში მთელი რუს. კონტრ-რევოლიუციონერების ლაშქართა თაობირი, რომელმაც ფრთები შეასხა კორნილოვსჩინას, პარტია, რომელმაც ხელოვნურად შეხანხლა კადეტების სალაყბო ფსიცოცხლო ეგრეთ წოდებული წინასწარ პარლამენტი და ბრძოლის ველზე სასტიკათ დამარცხებულ ბურჟუაზიას ამით ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭა, პარტია, რომელიც მთელ რვა, თვის განმავლობაში ბურჟუაზიასთან საბოტაჟს აწარმოებდა და ამით ხელს უწყობდა შიმშილს, სპეკულიაციას და ანარხიას, სიტყვით მუშებს და გლეხებს იკავდა, საქმით კი მათი კომბიტებებს წინაალმდეგ ილაშქრებდა, ბურჟუა-კაპიტალისტების და მემამულეების ინტერესებს უმაგრდებოდა;—დღეს ეს მაკანკლების პარტია კავკასიის ერებს ზავს, მიწას და თავისუფლებას პირდება.

ის პარტია, რომელიც ერების დატუქვსის საქმეში კადეტებთან სოლიდარულათ მოქმედებდა, ერთა თვით გამორკვევას სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა (გაიხსენეთ ფინლიანდიის ს. დემოკრატიულ სეიმის გარეკა, უკრაინის საკითხი და სხ.). დღეს ხალხთა უფლებებს იკავებს, დ-ჩაგრულ ერებს თვითგამორკვევის უფლებას პირდება დასასრულ, პარტია, რომელიც, მილიუკოვ-გუჩკოვ-ეკონოვალოვ-კაშენ ტრიტიაკოვ-კერენსკეების კონტრ-რევოლიუციონურ სამინისტროებს მხარს უჭერდა და მით რევოლიუციას ასუსტებდა, კონტრ-რევოლიუციას ღრმავებდა, რომელიც ოქტომბრის უდიდეს რევოლიუციის დღეს ბოიკოტს უცხადებს, უბრალო სამხედრო შეთქმულებათ ნათლავს, მის წინააღმდეგ საბოტაჟს აწარმოებს, კარნიოვ-კალედინ-პრეკოვლსკებთან ერთად მუშათა და ჯარისკაცთა მთავრობას, ხალხის კომისარებს და უნდობლათ გმრძვის, აი ეს პოლიტიკური ფაქტრებული მუცლით მხოხავი პარტია მენშევიკ ობორონცების, ხალხისა და რევოლიუციის მოღალატე, თავის ლიტ. ორგანოს „ეროობის“ მეთაურებით უსირცხვილოთ გამომდგარა და რუსეთის დიდებულ რევოლიუციის ავანგარდის სასიქადულო პარტიას რევოლიუციონურ ს. დ. მ. პარტიას ბალშევიკებისას ხულიგნებს და შავრაზმელების პარტიით ნათლავს.

უნამუსო ცილის მწამებელნო! ინსინუაციით და პროვოკაციით ოქვენ ფონს ვერ გაბედავთ. დაბეღეთ თქვენს უბედურობან: დემოკრატია თანდათან იღვიძებს, და თვითცნობიერდება და სცილდება მოღალატე-მატყუარებს. თქვენ უკვე გაშიშვლდით, უკვე გაგიგიყეთ რუსეთის დიდებულმა რევოლიუციამ სულთათანა გიგალმაცა რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხკაცობამ. თქვენ არაფერი გაქვთ რუსეთის რევოლიუციასთან საერთო. მართალია ჯერჯერობით შენარჩუნებული გაქვთ პოზიცია ამიერ კავკასში, რომელიც სამართლიანად მენშევიზმის ციტადელათ ითვლება, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში აქაც ფეხქვეშ გიცლებათ ნიადაგი და ამნაირად შორს არ არის ის დრო, როდესაც გამოფხიზლდება თქვენ მიერ მოტყუებული და გზა-კვალ დაბნეული ამიერ-კავკასიის დემოკრატია; მაშინ ქვა და გუნდას მიგაყრის, წყევლა-კრულვით გაიხსენებს თქვენს იეზუიტურ მოღალატობას, თქვენს ორპოფი პოლიტიკას მანამდი კი შეგიძლიათ არხეინად იყოთ და წერთთ თქვენს კადეტურ გაზეთებისაფურცლებზე ათასნაირ ინსინუაციით და პროვოკაციით გაჟღენთილი წერილები მუშათა პარტიის წინააღმდეგ.

გრიშა მეგრელი.

ინტერნაციონალისტის წერილი.

სალამი ამხ. ბოლშევიკებს!

„დადგა დრო როცა ყოველი
ეკრპი უნდა დაიმსხვრეს“
ბადმბრიონი.

რევოლიუციის პირველმა დღეებმა მეკვგვარი მიმზიდველი დაპირებები მოგვეცა, რამაც გაახარაო აიღფოთოვანა ფართო ბრბოს ბუნი და დაპირებების განხორციელებას დაუწყო ცდა ლვოვი-მილიუკოვი-კერენსკი, ჩერნოვი წერეთელი დასხვ... ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ხალხის საქმის მოწყობაში-და ჩაიგდებდენ რა უფლებას ხელში, ვით ოლიმპიის ღმერთები მაღლიდან დასცქეროდენ უბრალო მომაკვდავთ. გალმერთებული პიები ბრძანებას ბრძოლებზე ცეცხლივით აფრქვევდენ, რომელიც ჩვენ ხალხს უნდა შვბგეფსოულებია-დაპირებები ხალხს მართალი ეგონა.-ისმენდა და უცდიდა მათ. და, როცა აიცხო ფიალა, ხალხი ისევ დუფიქრდა, დაჩუმდა და დუმილში ემზადებოდა ამ ჰაობის დასაშრეტათ, რომელიც რევოლიუციის მესაფლავეებმა შექმნეს. აშმორებულ ჰაობში თქვენ ბალშევიკებმა გადაისროლეთ პირველი ყუმბარა და შიგ გაჩენილი გაზვიადებული ცხოველები, რომელიც დაბრმავებულნი ევაციებს უმართავდენ, შეაშფოთეთ, ვაშ, თქვენს სიმამაცეს! სალამი რევოლიუცი-

ონურ გმირებს! მხოლოდ რა კარგი, რა დიდი, რა ცხოველმყოფელი იქნებოდა თქვენი სიტყვა, თქვენი კეერთხი და თქვენი საქმე, რომ ევროპის რევოლიუციონური დემოკრატიაც ფეხზე იდგეს! სჩანს მას კიდევ უღვივის გულში ილიუზიები, მარა დრო იმასაც მოსპამს. მანამდი კი საერთო მხნეობა პოლიტიკაში და შემოქმედებითი მუშაობა ხალხში ხალხს მისცემს იმედს და პოლიტიკოსს-ფარისეველთაგან დაყენებულ ტბაში განაბლების მოსეურნე ხალხი არ ჩაიხჩობა. მტერი ბევრი გყავთ. მეც არა ვარ მოლათ თქვენი, მაგრამ, როგორც ინტერნაციონალისტი და რევოლიუციონერი, თქვენ, რომლებმაც გმირული ხალხის სული შთაბერეთ მომაკვდავ რევოლიუციას, ამისთვის გიძღვნით სალამს და გისურვებთ გამარჯვებას.

ძირს სოციალისტურ მანტიაში გამოხვეული ლიბერალები!

გაუმარჯოს შეუპოვარ რევოლიუციონურ ნგრევა-შენებას!

გაუმარჯოს მებრძოლ ინტერნაციონალს! ი. ძაძაბაძე.

ჩრდილოეთ კავკასიისაკენ!

კავკასიის არმიის მეორე სიეზდმა 14 დეკემბერს აირჩია დელეგაცია, რომელიც მეტათ ვრცელი და მნიშვნელოვანი მინდობილებით აღჭურვა.

დელეგაციას სათავეში უდგას თბილისის საალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ამხ. მიხა ცხაკაია. დელეგაციის პარტიული შედგენილობა შემდეგია: 10 ბალშევიკი, 2 მემარცხენე ესერი, 3 მენშევიკი, 5 მემარჯვენე ესერი, 2 დაშნაკცაკანი, 1 უკრაინელი და ერთიც ყაზახი.

სიეზდმა დელეგაციას ასეთი ნაკაზი მისცა: 1) აღადგინოს რკინის გზით მიმოსვლა რუსეთისაკენ და იქედან პურის ჩამოტანის საქმე მოაწყოს; 2) მიიღოს პირდაპირი გადამწყვეტი ზომები კალედინ—კარაულოვის ხელმძღვანელობით გაფთრებულ კონტრ-რევოლიუციონური რაზმების წინააღმდეგ და აღადგინოს მათგან გაოხრებული მხარე; 3 დაიცვას და დაიფაროს ყველა იქაური დემოკრატიულ რევოლიუციონური ორგანიზაციები კონტრ-რევოლიუციონერების შემოსევისაგან: 4) ალაგმოს იქაური ავაზაკები და სპეკულიანტები.

5) დელეგაციამ თავისი მოქმედება ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოქმედება მოლვაწეობას უნდა შეუფარდოს და ადგილობრივი ხალხის, ყაზახების, მთიულების და გარეშე ქალაქებიდან მოსულ მუშების ინტერესებს შეუთანხმოს.

დელეგაციას დაეკალა, რომ საჭირო დროს ამიერ-კავკასიიდან ძალები მოითხოვოს. დელეგაცია თბილისიდან უკვე გავიდა.

საზღვარ-გარეთ

იტალიაში.

2 დეკემბერს იტალიის პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტმა მოდილიანმა, რომელმაც დაგმო პალატის სხდომების დახურვა და განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობა საჯაროთ უნდა იქნეს წარმოებული.

მოდილიანმა დაგმო აგრეთვე პალატის თავმჯდომარის შეხედულება რუსეთის რევოლიუციაზე და დიდი სიტყვა წაროსთქვა. დასაცავათ. მან აღიარა, რომ იტალიის სოციალისტები დიდი თანაგრძნობით უყურებენ რუსეთის ახალ მთავრობას და სწამთ, რომ, რაკი ბურჟუაზიამ თვით ვერ შესძლო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა, მოახლოვებულია საათი, როცა იტალიის პროლეტარიატი რუსეთის მსგავსათ თვითონვე აიღებს ხელთ ძალა-უფლებას.

ავსტრია-გერმანიის სოციალისტები და საბარატიული ზავი.

სტოკჰოლმში მოვიდა ავსტრიის სოციალისტი ვეიტნერი, რომელმაც რუსეთის წარმომადგენელს ორლოვსკის განუცხადა, რომ ავსტრია-გერმანიის სოციალისტებს სურთ თავიდან აიცილონ სეპარატიული ზავი და მზათ არიან მოლაპარაკება გამართონ ყველა მეომარ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან.

რუსეთის ქრონიკა.

კადეტების ახალი შენთქმულობა.

პეტროგრადის საგანგებო საქმეთა კომისარმა ამხ. ბლაგონრავოვმა რევოლიუციის საწინააღდეგო კადეტების ახალი შეთქმულობა აღმოაჩინა. აშკარა დოკუმენტებით მტკიცდება, რომ შავრაზმელთა ბელადებს მჭიდრო კავშირი შეუკრავთ კადეტების ცნობილ ხელმძღვანელებთან. კავშირის ხელმძღვანელობა უკისრიათ თვითონ კადეტებს. უკვე გამორკვეა, რომ არყის საწყობების დარბევა და ხულიგანების თვის არყის უხვათ მიცემა სათრობათ ამ კავშირის მოწყობილია. იციან სახელმიც ვინც ფულს ურიგებდენ შავრაზმელების წინამძღოლებს, რომ ბრძო არყით და დასარბევათ მოეწოდებათ. მათი ფულით გამოსცეს აფარებელი მოწოდებები. „პოგრომჩიკებისადმი. ასეთი ჰოკლაშაციებუ ათი ათასობით აღმოუჩინეს მათ და კონფისკაცია უყვეს.

9 დეკემბრიდან გამომძიებელი კომისია ამ დოკუმენტებსაც გამოაქვეყნებს და იმ პირთა სახელებს და ადრესებს დაბეჭდავს, რომლებსაც ამ საქმესთან ახლო კავშირი აქვთ.

საყურადღებო დოკუმენტები ფოტოგრაფიულათ იქნება გადმოღებული გაზეთში.

საალყო წესები პეტროგრადში.

კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულობისა და ხულიგანთა ბრძოლების თარეშის გამო პეტროგრადში 6 დეკემბრიდან საალყო წესები გამოცხადდა.

დონის როსტოვში.

როგორც „უტრო როსიის“ კორესპოდენტი იუწყება, როსტოვის საქალაქო საბჭოში მუშათა პროფესიონალურ ქავშირების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ მუშაობას მხოლოდ მაშინ განაახლებენ, თუ ყაზახები მუშათა ორგანიზაციების სადგომებს გაანთავისუფლებენ და ქარხანა-ფაბრიკებს დატოვებენ.

საქალაქო საბჭომ განაცხადა, რომ იგი წინანდებურათ ისევ ნეიტრალურ პოზიციაზე დგას.

ურალის კონტრ-რევოლიუციის ბელადის დუტოსის წინააღმდეგ.

ქ. ეკატერინბურგის მუშათა საბჭომ ორენბურგში სალდათთა და ფეოილ გვარდიელთა შეერთებული რაზმები გაგზავნა ატამან დუტოვის კონტრ-რევოლიუციონური ბრბოების გასანიავებლათ

ბასუხი შეტროგრადის რადს სასადლო კომისარების იგზავნაკენ.

რადასა და საბჭოს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტის შეგდობიანით დასრულება რუსეთის მთავრობისათვის თუმცა სასურველია, მარა მოსახერხებელი მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური რადა კატეგორიულათ განაცხადებს, იგი დაუყონებლივ კალედინის აჯანყებისა და კადეტურ ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობის მხარის დაჭერაზე ხელს იღებს.

მუშათა შორის.

ორიოდე სიტყვა ნავთლუღის გაზანაწილებელ პუნქტის მენშევიკებს. ამ პუნქტის დაარსებიდან აქ თვი მოიყარეს ყოველი მხრიდან მოწინავე მუშებმა და საქმეც სასურველათ მიმდინარეობდა პარტიული მუშაობის ნიადაგზე. მართალია, იყვნენ მუშები სხვა და სხვა ფრაქციის, მათში მეუმცირესეები უმეტესობას შეადგენდენ, მაგრამ ყოველივე პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვებზე შეთანხმებულათ მუშაობდნენ, და ამით საერთო საქმეც სასურველათ მიმდინარეობდა ამ შავბნელ რეაქციის დროსაც კი. მაგრამ მოხდა რუსეთის დიდი რევოლიუცია, ცხოვრების ზედა პირზე ამოტივტივდენ ყველა არასასურველი ელემენტები და ყველას სურვილი აღეძრა ამა თუ იმ პარტიის ქვეშ შეეფარებია თავი. აქაურმა მენშევიკებმაც კარი გაუღეს და ყველა მოთავესეს თავიანთი დროშის გარშემო იმ მოსაზრებით, რომ ეს მასა გამოიყენებიათ ფრაქციული ეინანობის გასატანათ, და არა იმიტომ რომ მათთვის მიეწოდებიათ გონებრივი საზრდო. მათ მხოლოთ მიაწოდეს ბალშევიკებისადმი ზიზღი. ამ საშვალებით კი მიაღწიეს მიზანს, მათ შამოიკრიბეს თავის გარშემო მასის ის ნაწილი, რომელიც ყოველ-ფერ ბრყვილო ნაწილი, რომელიც ყოველთვის და ყოველგან პიროვნებას მაღლა აყენებს, ვინემ საზოგადოებას. გარდა ამისა, ჩვენმა ცნობილმა მენშევიკებმა-იმის მაგივრათ რომ ამ საზოგადოების მომავალ მებრძოლთ გაგებინონ ნათლათ, თუ რათ ხდება რევოლიუციონურ.

რუსეთში, ისინი მათ ყოველივე უმალვენენ. მაგალითათ 10 დეკემბერ-ს უნდა მომხდარიყო არჩევნები თბ. მუშ. საბჭ. წარმომადგენლების გასაგზავნათ. და რომ ხსენებულ მუშებს სცოდნოდათ თუ სად არჩევენ ისინი წარმომადგენელებს, მეუმრავლესობამა წინადადება მისცეს მოეწვიოთ ორატორები ორივე მხრიდან, რაზედაც თანხმობა განაცხადეს. დანიშნულ დროზე გამოცხადდენ ორატორები ორივე მხრიდან. მობსენებელათ გამოვიდა მეუმც. მიშა არსენიძე, რომელმაც ჩვეულებრივი დემაგოგიით დაგმო ყოველივე ბალშევიკების რევოლიუციონური გამოსვლები. მიუხედავათ ამისა, ამხანაგი ბოლშევიკი მუშები წესიერებს შეგნებულათ იკავდენ. მოხსენების შემდეგ ტრიბუნაზე გამოდის ამხ. მეუმრავლესე, რომელიც ვრცელათ შეეხო დღევანდელ რუსეთის სინამდვილეს და ყველა მომხდარი ფაქტები აღნუსხა, რამაც საზოგადოების სიმპატია უმფერვალესათ მიიხიდა. დაინახეს რა მენშევიკების უმრავლესობამ, რომ საქმე მათ სასარგებლოთ არ მიმდინარეობდა, ხშირ ხშირათ სტეხდენ ხმაურობას. ილაპარაკეს მომხსენებელმა და მოწინააღმდეგემ. მიუხედავათ იმისა, რომ ჩაწერილი იყვნენ კიდევ 7 ორატორი წინადადება შეიმატანეს კამათი შეწყვეტილიყო. მეუმრავლესეები კი მოითხოვდენ კამათის გაგრძელებას იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებას ნათლათ გაეგო, თუ რა განსხვავებაა ამ ორ ფრაქციას შორის მათ თავიანთი გაიტანეს და კამათი შეწყდა. ჯერი მიდგა არჩევნებზე, ბოლშევიკების მოთხონილების თანახმათ არჩევნები მოხდა ფაქული კენჭის ყრით-, სადაც მენშევიკები თავიანთი ნაცად საშვალებებს ხმარობდენ და არაფერს არ ერიდებოდენ მაგ. არჩევნები მოხდა კვირას, როცა ყველა ამომრჩეველთ არ შეეძლოთ სხვა და სხვა მიზეზების გამო მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. და ამიტომ ბოლშევიკები მოითხოვდენ გაეგრძელებინათ არჩევნები ორი დღით, მარა ამაოთ. ამიტომ ბევრი ჩვენი ამხანაგები ხმის მიუცემლათ დარჩნენ მენშევიკების წყალობით. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ ვაჟბატონების ძალმომრეობა; ისინი იდგენ კარებში და აძალებდენ ხალხს: გინდა თუ არა ხმა მიეცი პირველ ნომერსო. როდესაც მეუმრავლესე მუშამ შენიშნა და მოიახოვა ამ უწესოებას არ ქონდა ადგილი, ერთმა მათმა „ლიდერმა“ მ. წ—ძემ ფიზიკურათაც კი მოინდომა შეხება. ეს ერთი იმ ვაჟბატონთაგანია, რომელმაც წარმოშობა ჰიათურის რვა მუშა. ხმები განაწილდა შემდეგ ნაირათ: მენშევ. 396, ბალშევ. 202, დაშნაკ. 55.

პრეგეგი და მიტინგები.

— კვირას 17 დეკემბერს დღით 10 საათზე ხელოსანთა კლუბში—მიხეილის ბროსპ. № 68 შესდგება საზოგადო კრება პროფესიონალ. საზოგადოებისა „ნემსის ჰოლეტარები“ (მკერავები, მექუდეები და სხვები).

დღის წეს-რიგი:

1. გამგეობის არჩევნები.
2. მუშათა საბჭოს დეპუტატების ხელახალი არჩევნები.
3. სრულიათ რუსეთის სიეზდის დელეგატის არჩევა.
4. საოლქო ყრილობის დელეგატის არჩევა.
5. სარეგიზიო კომისიის არჩევა.

პროვინციალური ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! თქვენზე ირიცხება ბევრი ფული გაზეთებისა. უმორჩილესათ გთხოვთ საჩქაროთ გასწოროთ ანგარიში, წინაადმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთების გზავნა შეეწყვიტოთ, ვინაიდან ჩვენი გამომცემლობა ფინანსიურათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

საგამომცემლო კოლეგია.